NATO ბუქარესტის შემდეგ

ავღანეთის დახმარება, ევროპის კონსოლიდაცია, პარტნიორობის გაღრმავება, ახალი გამოწვევებისთვის მზადყოფნა

ბუქარესტის სამიტი, რომელიც ჩატარდა 2008 წლის 2-4 აპრილს, NATO-ს ყველაზე ფართომასშტაბიანი სამიტია. მას დაესწრნენ 60-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები, აგრეთვე მრავალი მნიშვნელოვანი ორგანიზაციის მაღალი რანგის წარმომადგენლები, მათ შორის გაეროს გენერალური მდივანი და ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტი. სამიტზე გაშუქებული იქნა ალიანსის გადაწყვეტილება საერთაშორისო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ, XXI საუკუნეში უსაფრთხოების გასამყარებლად და საკუთარი წვლილის შესატანად, სწრაფად ცვლად სტრატეგიულ გარემოებებში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბუქარესტში NATO-ს ლიდერებმა ყურადღება გაამახვილეს ალიანსის მხრიდან ავღანეთისთვის გრძელვადიან დახმარებაზე, ასევე პროგრესის მხარდამჭერ ყველა ქვეყანასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. კიდევ ერთხელ დაადასტურეს რა, რომ NATO-ს კარი ყოველთვის ღიაა და ალიანსი ემსახურება უსაფრთხოების კონსოლიდაციასა და სტაბილურობას ევროპაში, ალბანეთი და ხორვატია მოიწვიეს გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად და შეთანხმდნენ, რომ ის დღეც დადგება როცა უკრაინა და საქართველო შევლენ NATO-ში. ალიანსის ლიდერებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ NATO-მ ხელი შეუწყო კოსოვოში მისი KFOR მისიისა და ერაყში ტრენინგების ჩატარებას, აგრეთვე ალიანსის მზადყოფნას კვლავ დაეხმაროს აფრიკის კავშირს სუდანსა და სომალში. ოპერაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და უსაფრთხოების დარღვევის შესაძლო საშიშროებების ასაცილებლად, მათ დამატებითი ბიძგი მისცეს

მიმდინარე ძალისხმევებს ალიანსის ტრანსფორმაციისთვის, მათ შორის სარაკეტო თავდაცვის შესახებ ერთიანი განაცხადის გაკეთებით. მათ ასევე ჩაატარეს კონსტრუქციული დისკუსიები რუსეთის პრეზიდენტთან იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ითანამშრომლონ ალიანსმა და რუსეთმა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

დახმარების გაწევა ავღანეთისთვის

ბუქარესტში ალიანსის ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ევრო-ატლანტიკური და უფრო ფართო საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხი გადაჯაჭვულია ავღანეთის, როგორც მშვიდობიანი დემოკრატიული ქვეყნის მომავალთან, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და თავისუფალია ტერორიზმის მუქარისგან. ამ მიზეზით, გაეროს მანდატის მქონე საერთაშორისო უსაფრთხოების დამხმარე ძალა (ISAF) უმთავრეს პრიორიტეტად რჩება NATO-სთვის. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვან პროგრესს ჰქონდა ადგილი მას შემდეგ რაც NATO-მ იკისრა ISAF მისიის მართვა 2003 წლის აგვისტოში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ მოსაგვარებელი ავღანეთის მთავრობას, NATO-ს და საერთაშორისო საზოგადოების დანარჩენ ნაწილს.

ავღანეთსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან მიმართებაში, ალიანსი დიდი ხნის განმავლობაში უჭერდა მხარს "ყოველმხრივ მიდგომას", რაც გულისხმობს სამოქალაქო და სამხედრო ძალისხმევის გაერთიანებას. ბუქარესტში ეს "ყოველმხრივი მიდგომა" პრაქტიკულად იქნა ნაჩვენები. ავღანეთისადმი სპეციალურად მიძღვნილ შეხვედრაზე მოკავშირეებს შეუერთდნენ მათი ISAF ელი პარტნიორები, ავღანეთის პრეზიდენტი, გაეროს გენერალური მდივანი, ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტი, ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლები, მსოფლიო ბანკის გენერალური დირექტორი და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ამ შეხვედრით დაიწყო საერთაშორისო საზოგადოების მოქმედების ახალი ფაზა, რომელზედაც უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დასაცავად სამხედრო ძალისხმევის უპირატესობა თანდათანობით გადაწონა სამოქალაქო კონსტრუქციულ ძალისხმევასა და ავღანეთის კუთვნილებაზე უფრო მეტად ორიენტირებულმა მიდგომამ.

ავღანეთთან დაკავშირებით, ISAF-ის ჯარში მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ სტრატეგიულ ხედვაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ოთხი ძირითადი პრინციპი:

- ძლიერი და განაწილებული გრძელვადიანი მოქმედება;
- ავღანეთის ხელმძღვანელობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებისთვის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ყოველმხრივი მიდგომის განხორციელება, სამოქალაქო და სამხედრო ძალების გაერთიანებით;
- ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთობების გაღრმავება ავღანეთის მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით პაკისტანთან.

გარდა ამისა, ISAF-ის მხარდამჭერებმა ასევე დაამტკიცეს ყოველმხრივი პოლიტიკურ-მილიტარისტული სტრატეგიული გეგმა ავღანეთისთვის, რომელშიც წარმოდგენილია ნათელი და რეალისტური ორიენტირები, ძალისხმევის უფრო მეტად დასაკონკრეტებლად და პროგრესის ობიექტურად შესაფასებლად. გეგმაში ასევე მოცემულია მითითებები, თუ როგორ შეიძლება უფრო ეფექტური ურთიერთობის დამყარება ავღანეთის მთავრობასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დაბოლოს, ასევე უამრავმა მოკავშირემ და პარტნიორმა გამოუცხადა მხარდაჭერა ISAF-ს ახალი სამხედრო ძალებითა თუ დახმარების სხვა ფორმით.

ევროპის კონსოლიდაცია

ბუქარესტის სამიტზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ NATO აგრძელებს ძლიერ მხარდაჭერას ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის შესაქმნელად. ალბანეთი და ხორვატია მოიწვიეს გაწევრიანების შესახებ საუბრების დასაწყებად. მიზნად დაისახა ალიანსში შესვლის პროტოკოლებზე ხელმოწერა 2008 წლის ივლისის ბოლოსთვის და რატიფიკაციის პროცესის დაუყოვნებლად დასრულება. სამიტმა კიდევ ერთხელ დაამოწმა, რომ NATO-ს კარი ყოველთვის ღიაა ევროპელი დემოკრატებისთვის, რომელთაც სურთ და შეუძლიათ იკისრონ წევრებისთვის განკუთვნილი ვალდებულებები.

ალბანეთისა და ხორვატიის მსგავსად, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია* რამდენიმე წელია რაც მონაწილეობს NATO-ში გაერთიანების სამოქმედო გეგმაში (MAP), რითაც ემზადება შესაძლო გაწევრიანებისთვის. ალიანსის ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ამ ქვეყანას მოიწვევენ NATO-ში გასაწევრიანებლად, როგორც კი დასრულდება მიმდინარე მოლაპარაკებები მის სახელთან დაკავშირებით, ორმხრივად მოწონებული გადაწყვეტილების მიღებით.

საქართველო და უკრაინა ინტენსიურ დიალოგს აწარმოებდნენ NATO-სთან ალიანსში გაწევრიანებისა და შესაბამისი რეფორმების შესახებ. მოკავშირეთა ლიდერებმა თანხმობა განაცხადეს ამ ორი ქვეყნის NATO-ში სამომავლო გაწევრიანებაზე და ალიანსი ინტენსიურ ურთიერთობას განაგრძობს ორივე ქვეყანასთან, MAP-ის პროცესში მონაწილეობის მიღებაზე მათ მიერ გამოთქმულ სურვილთან დაკავშირებით. NATO-ს საგარეო საქმეთა მინისტრები 2008 წლის დეკემბერში გააკეთებენ პირველ შეფასებას ამ ორი ქვეყნის პროგრესის შესახებ.

ბოსნია-ჰერცოგოვინასა და მონტენეგროს ევრო-ატლანტიკური ალიანსისადმი ლტოლვაზე და რეფორმებთან დაკავშირებულ მათ ძალისხმევაზე საპასუხოდ, ეს ორი ქვეყანაც მოწვეული იქნა ინტენსიური დიალოგის დასაწყებად, ალიანსის შემდგომი გადაწყვეტილების შესახებ ყოველგვარი წინასწარი პროგნოზის გარეშე. მოკავშირეებმა ასევე გამოთქვეს სურვილი გააღრმაონ თანამშრომლობა სერბეთთან, კერძოდ, პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის (IPAP) განვითარებით და აწარმოონ ინტენსიური დიალოგი, სერბეთის თხოვნის შესაბამისად.

ალიანსის ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ სტაბილურობას ბალკანეთში და აღნიშნეს, რომ კოსოვოში განლაგებული NATO-ს სამხედრო ძალები (KFOR), რომლებიც პირველად 1999 წელს იქნა გამოყენებული, კოსოვოში დარჩება, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს №1244 რეზოლუციის საფუძველზე. NATO და KFOR კვლავაც განაგრძობენ მუშაობას ოფიციალურ უწყებებთან, გაეროსთან, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სტაბილური, დემოკრატიული, მრავალეთნიკური და მშვიდობიანი კოსოვოს დახმარებისა და განვითარების მიზნით.

** თურქეთი მაკედონიის რესპუბლიკას აღიარებს მისი კონსტიტუციური სახელწოდებით.*

პარტნიორობის გაღრმავება

NATO-ს პარტნიორებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ალიანსის დღევანდელ მოქმედებებში. ალიანსთან პარტნიორობის გეგმა მოიცავს: ურთიერთობებს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსთან (EAPC); განსაკუთრებულ ურთიერთობებს რუსეთთან და უკრაინასთან; ხმელთაშუაზღვისპირეთის დიალოგებს ჩრდილოეთ აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის შვიდ ქვეყანასთან; სტამბულის ურთიერთთანამშრომლობის ინიციატივას ყურის რეგიონის ქვეყნებთან დაკავშირებით; აგრეთვე ნაკლებად ოფიციალურ ორმხრივ ურთიერთობებს პარტნიორ ქვეყნებთან მთელ მსოფლიოში. ბუქარესტში ალიანსმა ხაზგასმით აღნიშნა მისი მუდმივი ინტერესი მისიებსა და ოპერაციებში პარტნიორების ჩასაბმელად, ასევე მორგებული დიალოგისა და თანამშრომლობის წარმოება კონკრეტულ ინტერესებსა თუ საკითხებთან დაკავშირებით.

სამუშაო გარემოში, არაოფიციალურ სადილზე, EAPC-ს ქვეყნების ხელმძღვანელი პირები და მთავრობები მიესალმნენ მალტის გადაწყვეტილებას, დაუბრუნდეს პროგრამას "პარტნიორობა მშვიდობისთვის" (PfP) და შეუერთდეს EAPC-ს (მალტა PfP პროგრამაში გაერთიანდა 1995 წლის აპრილში, მაგრამ მან შეაჩერა მონაწილეობა 1996 წლის ოქტომბერში).

NATO-უკრაინის კომისიის (NUC) შეხვედრაზე უკრაინის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ალიანსს უკრაინის NATO-სთან სამომავლო ურთიერთობის შესახებ "აშკარა მინიშნებისთვის", რადგან შეთანხმდნენ, რომ ქვეყანა გახდება NATO-ს წევრი. ალიანსის ლიდერები მიესალმნენ უკრაინის პროგრესს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში რეფორმებთან დაკავშირებით და დააფასეს მისი მნიშვნელოვანი წვლილი NATO-ს ხელმძღვანელობით ჩატარებულ ოპერაციებსა და მისიებში.

ალიანსის ლიდერები რუსეთის პრეზიდენტს შეხვდნენ NATO-რუსეთის საბჭოს (NRC) შეკრებაზე, რომელიც სამიტის დონის პირველი შეხვედრა იყო 2002 წლის მაისში საბჭოს დაარსების დღიდან. NRC-ს ლიდერები შეთანხმდნენ NATO-რუსეთის პარტნიორობის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე და იმაზე, რომ NRC პოლიტიკური დიალოგის ფორუმად გამოდგება, მათ შორის იმ საკითხების განსახილველად, რომლებშიც ალიანსი და რუსეთი შესაძლოა ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ. NRC-ს შეხვედრამდე NATO-მ

და რუსეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთის ტერიტორიაზე ISAF-თვის განკუთვნილი არასამხედრო აღჭურვილობის ტრანზიტის პირობების გამარტივებაზე.

საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, მოკავშირეებმა NATO-სა და გაეროს მოუწოდეს შემდგომი თანამშრომლობისკენ და ხაზგასმით აღნიშნეს ეფექტური და მომგებიანი კოორდინაციის მნიშვნელობა ამ ორ ორგანიზაციას შორის. მათ ასევე აღნიშნეს თავიანთი გადაწყვეტილება გაუმჯობესონ სტრატეგიული პარტნიორობა NATO-სა და ევროკავშირს შორის, რაც მოიცავს საერთო ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს და ამ საკითხის აქტუალობა იზრდება ავღანეთსა და კოსოვოსთან მიმართებაში. ალიანსის ლიდერებმა აღნიშნეს, რომ "უფრო ძლიერი ევროკავშირი უფრო მეტად დაეხმარება ჩვენს საერთო უსაფრთხოებას".

ახალ გამოწვევებთან გამკლავება

ბუქარესტში ალიანსის ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა NATO-მ კვლავ შეძლოს ოპერაციების განხორციელება, თავისი ყველა მისიის შესრულება, შემდგომი წახალისებისა და მითითებების უზრუნველყოფა, ალიანსის ძალებისა და თავდაცვის შესაძლებლობების მიმდინარე ტრანსფორმაციისთვის. ყურადღება ასევე გამახვილდა სტრუქტურებისა და პროცესების ადაპტირების აუცილებლობაზე NATO-ს შტაბ-ბინაში და ალიანსის გენერალურ მდივანს დაევალა განვითარებების შესახებ წინადადებების შემუშავება 2009 წლის სამიტამდე.

ბუქარესტის სამიტზე მიაღწიეს ფართომასშტაბიან კონსენსუსს იმის თაობაზე, რომ გარდა მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, განსაკუთრებით NATO ს მისიებთან და ოპერაციებთან მიმართებაში, ალიანსი ასევე ვალდებულია მოემზადოს ისეთ ახალ, არატრადიციულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, კიბერნეტიკული შეტევები და ენერგეტიკული მომარაგების შეწყვეტა.

ყველა ლიდერმა აღიარა, რომ აშშ-ს სარაკეტო თავდაცვითი საშუალებები, რომელთა განლაგება დაგეგმილია ევროპაში, მრავალ მოკავშირეს დაიცავს. მათ დაადასტურეს, რომ ეს შესაძლებლობები NATO-ს სამომავლო ფართომასშტაბიანი სარაკეტო თავდაცვითი არქიტექტურის ინტეგრალური ნაწილი უნდა გახდეს. მრავალმხრივი სარაკეტო თავდაცვითი სქემის ვარიანტები, ყველა მოკავშირის იმ ტერიტორიების დასაცავად, რომლებიც არაა სხვაგვარად დაცული აშშ-ს სისტემით, გადაისინჯება NATO-ს შემდეგ სამიტზე, 2009 წელს. რუსეთის წასახალისებლად, რათა მან თანხმობა განაცხადოს აშშ-ის წინადადებაზე სარაკეტო თავდაცვაში მონაწილეობის მისაღებად, გამოითქვა მზადყოფნა გამოიყენონ შესაძლებლობები აშშ-ს, NATO-სა და რუსეთის სარაკეტო თავდაცვითი სისტემების დასაკავშირებლად, საამისოდ ხელსაყრელ დროს.

ალიანსმა მიიღო პოლიტიკა კიბერნეტიკული თავდაცვის შესახებ და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა NATO-სა და ქვეყნების საკვანძო ინფორმაციული სისტემების დაცვა, საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და ალიანსის ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის საშუალების შექმნა, რათა მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს კიბერნეტიკულ შეტევასთან გამკლავება. ალიანსის წევრები მოელიან NATO-ს კიბერნეტიკული თავდაცვითი საშუალებების უწყვეტ განვითარებას და კავშირების დამყარებას NATO-სა და ამ არეალის სამთავრობო უწყებებთან.

ალიანსის ლიდერებმა ასევე ჩამოაყალიბეს NATO-ს როლი ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხში, სადაც აღწერილია სახელმძღვანელო პრინციპები და განხილულია ვარიანტები და რეკომენდაციები შემდგომი მოქმედებებისთვის, განსაკუთრებით ხუთ ძირითად სფეროში, სადაც NATO-ს შეუძლია შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი. ეს სფეროებია: საინფორმაციო და სადაზვერვო საკითხებში გაერთიანება და მონაცემების გაზიარება; სტაბილურობის უზრუნველყოფა; საერთაშორისო და რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება; ხელშეწყობა შედეგების მენეჯმენტისთვის; დახმარება კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურის დასაცავად. პროგრესის შეფასება მოხდება 2009 წლის სამიტზე.

ბუქარესტის მიღმა

ალიანსის ლიდერები შეთანხმდნენ, რომ მომავალ წელსაც შეიკრიბებიან NATO-ს 60 წლის იუბილეს აღსანიშნად სტრასბურგში, საფრანგეთში და კელში, გერმანიაში. სამიტი საშუალებას შექმნის კრიტიკულად შეფასდეს NATO-ს ტრანსფორმაცია და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და გაძლიერდეს ალიანსის ხედვა მის როლთან დაკავშირებით, XXI საუკუნეში წარმოშობილ გამოწვევებთან გასამკლავებლად. მიღებულია შეთანხმება, რომ 2009 წლის სამიტზე დასამტკიცებლად მომზადდება დეკლარაცია ალიანსის თავდაცვის შესახებ, ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შემდგომი განვითარების შესამუშავებლად.

NATO Public Diplomacy Division /
Division Diplomatie publique de l'OTAN
1110 Brussels / 1110 Bruxelles
Belgium / Belgique
natodoc@hq.nato.int
www.nato.int

ABGEO_0408 © NATO / OTAN 2008